

# კურთხევის დაბეჭდვის გამო

ბ.ბ. კეთილის მოსურნის, ალ. ხახანაშვილის და სხ. წერილების პასუხად

შპს წლის „განათლების“ ზირველ ნომერში მოთავსებულია ბ. კეთილის მოსურნის „ორიოდე სიტყვა ახლად დასაბუქლად დამზადებულს გურთხევანზე“, რომლის შინაარსი გადაუბუქლად ბ. ალ. წერეთელს „სახალხო გაზეთის“ მე-502 ნომერში. შეეხება რა შემასწორებელი კომიტეტის „არა სასურველ და საეჭვო“ მოქმედებას, ავტორი ასე აბოლოკებს თავის შენიშვნას: „საჭიროა დროზე იქმნას გამორკვეული, რა აძიებებს კომიტეტს შესტვალის ძველი ტექსტი, რით ხელმძღვანელობს ამ ცვლილებაში და რომელი დედანი აქვთ მიღებული საფუძვლად ფორმის და შინაარსის გადასაკეთებლად“. კომიტეტი სინამდვილეში აუკლებს ნიდაზიან ავტორს, მაგრამ რა გარემოება აძიებებს მას „დადღის ზირი თვისი“. დასახელებული „ორიოდე სიტყვის“ შემდეგ „განათლების“ იმავე ნომერში მოთავსებულია ბ. ალ. ხახანაშვილის სტატია—„ქართული სამღვთო წერილის შესახებ“, რომელიც შინაარსით იმდენად ენათესავება ბ. კეთილის-მოსურნის წერილს, რომ შესამხსენებელ უმაგრებს მას ზურგსა.—საჭიროდ მივიჩნეოთ ამის გამო კეთილის-მოსურნის სიტყვას ანგარიში გაუწიოთ, რათა შეწყნარებული არ იქმნას მარტო მისთვის, რომ ზურგ გამაგრებულია ცნობილი პროფესორის მიერ. მეორე.—კომიტეტის ნაშრომი ჯერ არ დაბეჭდილად და არც უნდა ჰქონდეს ნახული არავის მათ გარდა, ვისაც ნება მიუცია თავისი თავისთავის ხელი შეეხოს სხვისი საკორექტურო რეგულირების ავტორის დაუკითხავად, მაგრამ საზოგადოებაში გაისმა

მაინც იმგვარივე მითქმა-მოთქმა კომიტეტის „საეჭვო“ მოქმედების გამო, რის ნიმუშსაც გვითხულობთ „განათლების“ აღნიშნულ ნომერში. ეს ამავეც გვაძიებებს პასუხი გასცემთ იმ ზირთ, რომელნიც სხვა და სხვა მოსაზრებით გულმოდგინედ „ამდგურევენ წყალს“...

გოდრე კეთილის-მოსურნის კრიტიკის ნიმუშს განვიხილავდეთ, რამდენიმე პრინციპიადური მოსაზრება უნდა გამოვსთქვათ თვით საეკლესიო წიგნების შესწორების გამო.

კომიტეტი ისეთ საქმეს ეწევა, რომლის ჯეროვანი დაფასება და ავტორიანობის შეტანება შესაძლოა მხოლოდ იმ პირთათვის, რომელთაც 1) იცინა ეკლესია და მისი ვითარება, 2) გაეკებათ—რა არის დედამატი და რა არის კულტი, 3) ისტორიულად შეუგნით დღით-მისახურება, 4) შეუწყვილიათ ქართული და სხვა ქრისტიან ერთა სალიტურგიკო მწერლობა და 5) შეუთვისებიათ ქართულ ხელთნაწერების სული და სტილი. ამის გამო ადვილად წარმოსადგენია, თუ რა დიკსების უნდა იყოს იმ ადამიანის კრიტიკა, რომლის უმწვერვალეს კრიტიკიუმს შეადგენს მხოლოდ „ურის შეხვევა“ იმისა, რასაც უაზროდ გაჭკივივის ეკლესიაში წინა-კითხვის ნახევრად მდოდნე შედგითნე; იმ ადამიანისა, რომელსაც ვერ გაურჩევია საეკლესიო წიგნი საღმრთო წიგნი და კურთხევანს, მაგალითად, საღმრთო წერილის წიგნს უწოდებს? ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ადვიროთ, რომ, თუმცა ბევრს თავმომწონებობთ ღ განათლებულ ხალხებთანაც მოგვაქვს თავი, მაგრამ, როგორც საქმით სჩანს, ესლაც იმავე საფესურზედ

ვერფილგარტ, რომელზედაც იდგა რუსეთი მეჩვიდმეტე საუკუნეში, როდესაც ეგრედ წოდებულთ „რასკოლნიკთა“ მეთაურები ფანატურად გაიძახოდნენ: „до насъ положено, лежи оно такъ во вѣки вѣковъ; православнымъ надо помереть за одинъ азъ“. ამას ღაღადებს ბ. კეთილის მოსურნე: „ჩვენ წინაპრებს ათასი წელიწადი მეტი ჰქონიათ ნათარგმნი სამღვთო წერილი“, რომელსაც ესტა „ურაჰკოფის“ კომიტეტი. ამასვე იმეორებს თვით პროფესორის სანტიმენტალური წერილი: „თავ გამოვლებით ღირსია დავიცვათ ძველად ნათარგმნი სამღვთო წერილი, რათა ისტორიული კავშირი არ მოასხოს ჩვენსა და ჩვენს წინაპართა შორის“. რა განსხვავებაა ამით და „პროტოპოპ ავვაკუმი“, „პოპ ლაზარე“ და „ნიკიტა ჰუსტოსვიატ“-ის შორის, რომელნიც სწორედ ასე გაიძახოდნენ? მხოლოდ ის, რომ ჯერ ჩვენი „ჰუსტოსვიატები“ არ გასულან კერუების და ბრანის დაბურულ ტუბებში, რომ იქ, ანტიქრისტეს მოლოდინში, საეკლესიო წიგნების შესწორებით გაბრაზებულნი და ჰაგუზად შემოდილნი, ცუცხლად მორჩევი შესცურდნენ!...

რომ სიტყვა არ გაგვიტრიალდეს, ჩვენის აზრით, სკიოთხი ასე უნდა დაისვას:

საჭირო და შესაძლებელია, თუ არა ქართულ ღვთის-მსახურების წიგნების შესწორება? თუ ეს საჭირო და შესაძლებელია, რა უნდა შესწორდეს ამ წიგნებში? რა და რა წყარო უნდა გაიხადონ ხელმძღვანელად შემასწორებლებმა?

I.

1. გადაიკითხეთ ზემო დასახელებული სტატიები „განათლების“ და „სახალხო განათების“, უური დაუკლეთ „ჰუსტოსვიატების“ განკაშს, რომელიც გაისმის სსზოგადოებაში, და თქვენ გამოიტანთ შემდეგ შთაბეჭდილებას:

ბას: ათასი წლის წინ ჩვენ დმერთ-შემოსილ მამებს საუცხოო და შეუღარბელი ენით უთარგმნიათ საეკლესიო წიგნები, რომელნიც ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელის შემდეგ მტკიცედ და შეურეველად შეუნასათ ჩვენ წინაპრებს. ვინ გამოვლება ჩვენ დროში ისეთი თავხედი, რომელმაც ხელი მიჭყოს მათ შესწორებას და გადაკეთებას? ეს ხომ უარყოფაა საქართველოს ეკლესიის მიერ ძველი დროითგან მიღებულ დედნისა, ეს ხომ მოსზობაა იმ ისტორიულ კავშირისა, რომელიც გვაერთებს ჩვენს წინაპრებთან! ერთი სიტყვით, ასეთი შესწორება შეუძლებელია, ეს ის სასიკვდილე ცოდვია, რომელიც არც საქათს და არც სიქიოს არ ეპატევიება იმის ჩამდენსაო.

აი, აქეთგან ნათლად სსანს, თუ რამდენად მოკლებულნი არიან ჩვენი დროის „ჰუსტოსვიატები“ ისტორიულ თვალსაზრისის საეკლესიო და სალიტურგიაკო სკიოთხთა გამორკვევაში; მათის აზრით კულტი ისევ ის დღემდტა, რომელიც ცვალებადობის კანონის გარეშე სდგას, მათ არ იცინან, რომ მართლ-მადიდებელი ეკლესია სრულიადაც არ უარ-ჰყოფს ლიტურგიულ განვითარებას, პიროქით, ღვთის-მსახურების ისტორია წარმოადგენს განუწყვეტელ ევოლიუციონურ ძაფს, რომელიც კამბულის მონქელთა საუკუნის და ჩვენ დროთა შორის. ეს რომ ასე არ იყოს, ისტორიაში ხომ ადგილი არ ექმნებოდათ ძველ იერუსალიმის, სზონდოელია მონასტრის, სოფთა წმიდის, სტოდიელია მონასტრის, მთაწმიდელთა და სზა წმიდის ტიბიკონებს, რომელნიც თავიანთ ელფერს აძლევენ ღვთის-მსახურებას, შესაფერ წესებს თხზვიდნენ, თავისებურ ფაღიში ასსამდნენ საეკლესიო წიგნებს! მეცნიერებაში უძველესად მიჩნეული, ეგრედ წოდებული, ბარბერიის ევოლუციონი რომ გადაათვალიეროთ, დაინახეთ, ის წესები, რომელთა ჯეოფინად აღსრულებას ესტა სა-

ათობით უნდა დრო, იქ განისაზღვრება მხოლოდ რამდენიმე ღონისძიებით. გადასინჯეთ ბერძნული, სლავიური და ქართული სხვა და სხვა დროის საღატურგიკო ხელნაწერები და თქვენ დიანახეთ, რომ მათში დაცული წესგანგებანი იმდენად განსხვავდება ერთმანეთში შინაარსითაც და ენითაც, რომ მათი კლასიფიკაციაც კი შეუძლებელია.

შორს ნუ წავალთ, ავიღოთ, თუ გნებავთ, ჩვენი კურთხევანი. ჯერ ისევ ჰალესტინაში ნათარგმნი, შესტვალეს სინას მთის ქართველებმა, სინას რედაქცია შესტვალა ექვთიმე მთაწმინდელმა, ექვთიმესი გიორგიმ. მართალია, უგანსკელმა შეუდარებელი ერთ სთარგმსა ეს წიგნი, მართალია ისიც, რომ რუსიურბნისის კრებამ დაადგინა—„ღვთის მისხურება ეგრედ ადესრულებოდეს, ვითარცა ახლთა შინა კურთხევათა ნეტარებით მოხსენებულისა მიმისა გიორგი მთაწმინდელისათა დაწერილ არს“-ო, მაგრამ ქართული კურთხევანის განვითარება ამ საფეხურზე არ შეჩერებულა: ჯერ ერთი, ეს „საუცხოო ენა“ დროთა ვითარებას და გადაწყვეტა უმეტრებას „საუცხოოდ“ დაამხინჯა, მეორე, — გიორგის შემდეგ კურთხევანის შინაარსი ეკლესიამ შესამჩნევად შესტვალა: ზოგიერთი წესი ხმარებაში განდევნილ იქმნა, ზოგიერთი რედაქციის მხრივ შეიცვალა, ზოგი ახალი წესი შემოვიდა, ასე რომ მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს გიორგის კურთხევანს შერჩა მხოლოდ ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობა; ამიტომ 1306 წელს გამომდის ახალი რედაქცია ქართული კურთხევანისა, რომელშიც, სხვა და სხვა ფარიცობით, მოაწია მეთვრამეტე საუკუნის დამდეგამდე. მეთვრამეტე საუკუნეში ესეც დაძველებული აღმოჩნდა და, დომენტი კათალიკოზის (1705 — 1724) მიწოდებით და ღონისძიებით, კვიპრიანე სამთავნელმა ხელახლად სთარგმნა ბერძნულისაგან ეს წიგნი. ამისთვის, სსრტი-

კად სტვალა ბ. ხახანაშვილი, როდესაც წარმოუხრებლად ამტკიცებს, რომ „ის ღონისძიება, რომელიც ათასი წლის წინეთ განსმობა ქართველ ერის ბაკთაგან, შეგვრჩა აქამდის და მეორე საუკუნის მოწმუნე ხდება დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის თანამედროვე“; ჩვენ დღეს შეგვრჩენია არა „იმითი ღონისძიებითი ენით“, არამედ კვიპრიანე სამთავნელის კურთხევანი. თუ არ გჯერათ, აიღეთ ხელში თანამედროვე კურთხევანი, რომელსაც ეხლა ჩვენ ვასწორებთ, და პირველსავე ფურცელზე წაიკითხავთ: „კურთხევანი, ძალითა დმრთისადათა ახლად თარგმნილი ბერძნულისაგან ქართულად კვიპრიანეს მიერ სამთავნელია“.

ამ ნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ საეკლესიო წიგნთა შესწორების პრინციპი მიდებულა და განხორციელებულია როგორც მსოფლიო, ისე ადგილობრივ ეკლესიათა პრაქტიკაში და ცხოვრებაში; კერძოდ, ჩვენი წინაპრნი არ შეჩერებულან ისეთის საკითხის წინაშე, როგორც იყო „ზეშთავრებულ“ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელთა ნათარგმნის შესწორება. მამ სუ თუ ჩვენ, და მხოლოდ ჩვენ, არა გვაქვს ნება და სიმართლე, შევასწოროთ კვიპრიანე სამთავნელის ნაშრომი, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ზეშთავრებულ არ არის ნათარგმნი? არამც თუ გვაქვს, პირაქით, ვადებულნიც ვართ, გინათგან 1) ის დღენი, რომლითგანაც კვიპრიანემ სთარგმნა, — გენეციაში 1602 წელს დაბეჭდილი ეგზოლოგიონი, — მეცნიერებაში მიხნეულია უგარგის დოკუმენტად; 2) ამ ეგზოლოგიონის რედაქცია ეხლა დაძველებულია და ხმარებაში გამოხსულია როგორც ბერძნეთა, ისე რუსთა და სხვა მართლმადიდებულ ერთა შორის; 3) თუმცა დომენტი კათალიკოზი ერთ დოკუმენტში გვარწმუნებს, კვიპრიანემ კარგად იცოდა ბერძნული ენა, მაგრამ იმისი თარგმანის ბერძნულ დედანთან

შეადრება ნათელ ჰყოფს, რომ ირ ელდინთა ენაში შეტად სესტობდა...

2. იქმნება ჩვენი მოწინააღმდეგეები მოითხოვდნენ ისეთ შესწორებას, რომლის მოწამენი ჩვენც ვართ? საეკლესიო წიგნებს ამდენსანაც ასწორებდნენ, მაგრამ იცით, შკითხველნო, რად გამოიხატა ეს შესწორება? „შესწორებულნი“ თავის მოქმედებას განსაზღვრავდნენ მხოლოდ სსაყენი ნიშნების ერთი ადგილითკან მეორეზე გადასმით, თუმცა ამაშიც დიდ უნარს ვერ იჩენდნენ: ქვემდებარის განცალკევებით შესმინილისაგან ამ ნიშნებს დაუკარგეს როგორც სალოკიკო, ისე საშუაიკო ძალა, რომელიც ქტონიათ ძველად, შტოდნე პირთა მოწმობით. უეტველია, კეთილის-მოსურნის ასეთი შესწორება სწადია...

მაშ კა უნდა შესწორდეს ჩვენს წიგნებში? ჩვენ, როგორც წვერნი მართლ-მადიდებელის ეკლესიისანი, ვაღებუდენი ვართ, „ერთითა პირითა და ერთითა გულისთა“ ვაქტბდეთ და „ერთობით ადვიარებდეთ სამებას ერთ-არსებას და განუყოფელს“. ამისათვის ჩვენი ლოცვების, წესრიგის და წიგნების რედაქცია უნდა ეთანხმებოდეს მსოფლიო ეკლესიის პრაქტიკას; მსოფლიო ეკლესიასთან ერთობა და თანხმობა ის დროშა იყო, რომლის ქვეშ დაუდალავად მუშაობდნენ ჩვენნი წინამარნი, განსკუთრებით წმიდა მთარგმნელები ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები.

ვინც ჩვენს წიგნებს ჩაჰკვირვებია, შეამჩნევს ბერს უხამსობას ღოდმატიურის მხრითაც; მაგალითად, 1899 წელს „გასწორებულ“ კონდაკით წმ. ბასილის ეგჰარსტიის ლოცვაში მამა ღმერთს მივმართავთ ასეთი სიტყვებით: „მომხსენებულნი სცხნოვრებელთა შენტა ვნებათა, ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სამღლე დაფლვისა, მკედრეთით აღდგომისა, ზეცად აღსელოისა, მარჯვენით შენ ღეთისა და მამისა დაჯღომისა ღიდებით, და საშინელად

მგორედ მოსლოვისა შენისა“. ეტვს გარეშეა, მსოფლიო კრებათა ეპოქა რომ იუოს, ჩვენ პატრიპასსიანობისათვის დაგვძრახუნენ. ასეთი უხამსობა უფრო მეტა კურთხევანში. ნუ თუ ეს ვეგლა შესწორებელი უნდა დარჩეს, „რათა ისტორიული კავშირი არ მოიხზოს ჩვენსა და ჩვენ წინამართა შორის“? გარდა ამისა, ბუკრი ადგილი მეტად ბუნდოვანად და გაუგებრად არის გადმოსარგმნილი, და მათი შესწორება და გამართვა აუტილებლად სჭირრთა. ამა გვიბრძანონ კეთილის-მოსურნემ და ბ.ა. ხახანაშვილია—რის გამოა ლაპარაკი და რა აზრია „ქერუბიმთა“ გიმნის მეორე ნახევარში, რომელსაც „მოსწავლე ბავშვები საეკლესიო სკოლებში“ ეხლაც „აღუღუნებენ“, სამწუხაროდ არა „ანგელოზის ხმაზე“, არამედ თუთიუშისაზე, —სახელდობრ—„და ვითარცა შეუთვის ყოველთასა, შემწუნარებელსა ანგელოსთა ებრ უხილავად, ძღვნის შემწირველთა, წესთასა, აღიღუთა“? ნუ თუ ასეთი მარგალიტიც „უღვიძებს ბ. პროფესორს ჩაფერულილს პატრიოტულ სიამაყეს“ და ვაღებულად ჰხდის „თავკამოდებით დაცვას იგი?

3. გამწორებლებს, პირველად ყოფლისა, წინ უნდა ედვასთ (და უდევსთ კიდევ) საუკეთესო ხელთნაწერები, რათა დცულ იქმნას სტილი და სულად ღმერთ-შემოსილ მთარგმნელთა, დცულ იქმნას ყოველივე ის, რაც არის საუკეთესო და შესწუნარებელი მათში. მაგრამ ჩვენს მოწინააღმდეგეებს, სამწუხაროდ, ერთი ზნე სჭირთ: ხელთნაწერი, რომელიც მათ უაღბ აზრს ეთანხმება, მათთვის აუტორიტეტია, თუკინდ ის კეთუნოდეს რომელსაზე უმეტარ პირსა; იმ ხელთნაწერს კი, რომელიც ჩვენ გვამართლებს და მათ ამტყუნებს, თუ გინდ თვით გიორგი მთაწმინდელის ნუსხა იუოს, ისინი უარ-ჰყოფენ. განა ამისთანა პირებთან შეიძლება სერიოზულად კამათი?

ქართული სალიტურგიკო მწერლობა ნათარგმნია და არა ორიგინალური; ჩვენი წინაპრები სთარგმნიდნენ ბერძნულსაგან, მაშეხლა, უკვე ძველად ნათარგმნი ტექსტის შესწორების დროს, უნდა ხელთ გვექონდეს აწინდელი ბერძნული საეკლესიო წიგნები; ეს იმდენად ცხადია, რომ მხოლოდ უკუღმად მთავრეს შეუძლიან უარყოფის ბერძნული ორიგინალი და ჰქადაგოს მისი უფარვისობა ქართულთან შედარებით; აკი რუსეთშიაც გამოჩნდნენ მეჩვიდმეტე საუკუნეში ისეთი ფანატრიკოსები, რომელნიც ბერძნულ წიგნების შერყენილებას და მათ უფარვისობას, სლავიანურთან შედარებით, ამტკიცებდნენ! ისტორია მოგვყენათ განმეორების მიწაზეა, — ისეთი პირები ჩვენში ესლამოსჩნდნენ!

მართალია, კეთილის-მოსურნი ამ პირთა კატეგორიას არ ეკუთვნიან, პირიქით, მას გულის შესტკივს ბერძნულ ორიგინალისათვის და ცრემლ-მორეული მოსთქვამს: „კომიტეტი ადგილ-ადგილ სთარგმნის ახლად სლავიანურ წიგნების თანახმად და ამ გვარად უარ-ჰყოფს საქართველოს ეკლესიის მიერ ძველი დროიდან მიღებულს დედას, დამყარებულს ბერძნულს ორიგინალზე“ — თ. მატრამ ეს უმართლობა და, თუ გნებავთ, ცილისწამებაც; სწახს კეთილის-მოსურნის ხელშია არ აუღია არც სლავიანური და არც ბერძნული ტექსტი, და არც ერთთან და არც მეორესთან არ შეუდარებია ჩვენი ნაშრომი, თორემ ერთს მაკადითს მაინც მოიყვანდა ჩვენი „სლავიანოფილობისა“. ესეთი უმართლობა იმან აკადრს მხოლოდ იმისთვის, რომ მეტი ეფექტი მოეხდინა თავის თანამთავრეთა წრეში. საქმე ისაა, რომ ჩვენის საზოგადოების ერთს ნაწილში, რომელიც საქმის ვითარებას ჭკროვნად ვერ იცნობს, ტრიალებს ერთგვარი რწმენა: უოგელივე სლავიანურისაგან ნათარგმნი უნდა დაკომობდ და უარყოფილ იქმნას, რადგანაც „სლავიანურ ენაზე ნათარგმნი ვერასოდეს

დეს ვერ შეედრება მადლ-მოსილ მარჯვებით ნათარგმნი ქართულ წიგნებს“. („სახალხო გაზეთი № 502). ესეთი შეხედულება შედეგია იმ სასიონტოებისა, მიუღვარებისა, რომლის ფესვებს ვხედავთ წინაპართა იმ წრეში, სადაც დრომაც აწერდნენ: „დავგმობთ უოგელივეს, რასაც სომხური ბეჭედი აზის და რაც სომხურიდან ნათარგმნიაო“.

მერმე, იციან კი სლავიანურ წიგნთა მოძულეთ რას წარმოადგენს სლავიანური საეკლესიო წიგნები? მეთექვსმეტე საუკუნითგან მოყოლებული რუსთა ეკლესიის კულტურული ენერჯია ჩაუნთქავს სულ ერთიან საეკლესიო წიგნების შესწორების საკითხსა. ამ საკითხმა წარმოშვა რუსეთის ისტორიაში ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც არის რასკალი. ეს საკითხი სამეცნიერო ნიადაგზე დააყენეს 1649 წელს, როდესაც ბერძნულ პრაქტიკის შესასწავლად აღმოსავლეთისკენ გაემგზავრა ცნობილი არსენი სუხანგო, ის არსენი, რომელმაც ჩვენი, ქართველების, მაშინდელი სალიტურგიკო პრაქტიკაც ასწერა. სამშობლოში დაბრუნებისას მან თან მოიტანა შეიღის სამედიკალური ბერძნული ხელახაწერი, რომლის მიხედვით დაიწყო რუსებმა თავიანთი წიგნების შესწორება. ეს მუშაობა ჭკრეც დაუმთავრებელია: დღეს უწმიდეს სინოდთან მიმართებას საეკლესიო წიგნების შემსწორებელი კომისია და სათავეში უდგანან გამოჩენილი პროფესორები, რომელთა სალიტურგიკო და საღვთის-მეტყველო შრომანი ამჟამებზე არამც თუ რუსეთის, არამედ მთელ ევროპის მეცნიერების საღაროსა. ამ პირთ არც ბერძნული ენის ცოდნა აკლიათ და არც სამშობლო ეკლესიის სიყვარული. ნუ თუ, კეთილის-მოსურნის აზრით, ამ პირთა ნაშრომით სულმძღვანელობა ჩვენთვის სათავილია? დარწმუნე უფრო ვართ, ჩვენში რომ იცნობდნენ ანტონოვს. ან სლავიანურს, ან ქართულს სალიტურგიკო მწერლობას, მაშინ არ იტყვოდნენ,



3) „წყალთა ამთ შინა“ ჩვენ გადაფაკეთეთ— „წყალსა ამას ზედა;“ ბერძნულში ნახმარია ადგილობრივ ბერძნულ მხარეებზელი ნაცვალ-სახელი *τὸν ἄρ,* რომელიც სლავონურად უთარგმნით „на водѣ сѣи“. „წყალთა“ იხმარება მამინ, როდესაც ღამზარაიის მდინარისა გამო, ბავშვს კი ჩვენ ვნათლავთ არა მდინარეში, არამედ ემბაზში.

4) „მიქტევა“ გადაკეთებულია „მიქტეველ“; ლოცვაში სწერია: „რათა იქმნას ესე საცხებელ უხრწნელები, საჭურველ სიმათლის, განმასხლებელ სულისა და ხორცთა, ყოვლისა საეშმაკოდასა საქმისა სძლეველ და გარემიქცეველ ყოვლისაგან ბოროტისა“. თუ ჰირველ შემთხვევაში ნახმარია „საცხებელ, საჭურველ, განმასხლებელ, სძლეველ“, უკანასკნელ შემთხვევაში რად უნდა იყოს „გარემიქცეველ“ და არა „გარემიქცეველ?“ ესეც რომ არ იყოს, განა შეიძლება ითქვას „რათა იქმნას ესე გარემიქცეველ?“ ეს სდაურთა ქართულად?

5) „განახლება“ შეესცვალეთ „ბრწეინება“; ეს ადგილი ბერძნულში ასეა: „*ἀεθροῦα κῆρυξ, τὴν φωνήν σου τὴν παρῶσαν σου σου ἐν τῇ καρδίᾳ σου*“ *ἐπαφῶν δὲ δὲ ἀναστῆς ἐμὴν ἁμαρτίαν*“; სლავონურში — „Владыко Господи, просвѣщеніе лица Твоего въ сердцѣ его озарятъ вынѹ благоволи“; ქართულში: „მიუფერო უფალო, ნათლითა ჰირისა შენისადათა განახლება გულისა ამისსა ჯერ იჩინე“. მიგვიჩვენებთ ბ. კეთილის-მოსურნისათვის განსჯა იმისა, თუ რადუნად დაუტავთ ბერძნულს

ციქულმა პავლემ) ეს სიტყვა დასაკლავ ზვარაკთა ტყავისაგან. როდესაც ადამიანი დაკლულ ზვარაკს ატყავებს, მაშინ ზვარაკის ყოველივე შიგნული ჩვენთვის დასანახი გახდება.—ასევე, წინაშე ღვთისა განცხადებულია ყოველივე. Творенія Іоанна Златоуста, т. 12, кн. 1. стр. 68. Спб. 1906. ვგონებთ, ი. ოქროპირის საღმრთო წერილის უტოლინარობას ვერავინ დასწამებს..

ლი ორიგინალის აზრი ქართულს თარგმანში. სხვა არა იყოს რა, საითგან განხდა „განახლება“, როდესაც ბერძნულში ნახმარია *ἐπαφῶν*?

6) ძველი „სტულად“ (ХОДИТЬ) გასწორებულია „სლვად“; ვფიქრობთ, სკამათო არ უნდა იყოს!

7) ძველში სწერია — ლოცვა წმიდისა ნათლისა; ჩვენ „ლოცვა“-ს მაგიერ ვიხმარეთ „შედგო“, რადგანაც ბერძნული *αἰχλοῦσθε* ნიშნავს „შედგეს“ და არა „ლოცვას“. ამასთანავე, ნათლილების წესი შესდგება რამოდენიმე ლოცვისაგან, მასისადაც რა საფუძვლით უნდა უწოდოთ მას „ლოცვა“?

8) სსსცილთა სწორედ ორი უკანასკნელი მაგალითი: ნათლილებაში სამოციქულოს წარდგომა სწერია შემოკლებით: „უფალი ნათელ ჩემდა და მცხოვარ... უფალი შესავდრებელ არს ცხოვრების ჩემისა“... ძველად სდმრთო წერილის მუხლებს ამოკლებდნენ ქადაგდისა და ბეჭდვის სარჯის შესამცირებლად; არც სსშიში იყო, რადგანაც შემოკლებული ადგილი მტკიცედ და შეუერეველად იცოდნენ ზეზინად; ესლა კი, როდესაც ეკონომიერ, მოსაზრებას ადგილი იმდენად აღარა აქვს, და შედავითნებიც ისეთი გვეყვანან, რომ არამც თუ ზეზინად, სშირად დაბეჭდულსაც ვერ კითხულობენ ზეირიანად, სსჭირად დავინახეთ ადნიშნული მუხლი სდმრთო წერილისა სრულად მოგვეყვანა; კეთილის-მოსურნის კი ჰტონება, რომ ჩვენ „მიუწოდებელ მიზეზებით მკითხველისთვის და კვლევისის მსახურისთვის“ რაღაც „ახალი განმარტება და წინადადება“ მიუმატეთ „საქართველოს ეკლესიის მიერ ძველი დროიდან მიღებულს დედანს, დამუარებულს ბერძნულს ორიგინალზე“. კრიტიკაც ამას ჰქვია!

გადავთავალიეროთ ესლა „უფრო რთული მაგალითები“ ჩვენი „საკვლო“ მოქმედებისა.

9) ძველებური „საცნობელი მიეც, და ნიეთიერთა ამით წესითა დაადგიენ, რა-

თა არა დაიუყნებოდეს ურთიერთარს“ ჩვენ შეგაკეთეთ ასე: „საცნობელები მრავალნი მიიქც, არა დამეყნებულნი ურთიერთას“. ბერძნულში ეს ადგილი ასე იკითხვის: „καὶ ἐν αὐτῇ τὰς πλείους τῶν αἰσθητικῶν καὶ ὑπὸ τῶν σαρκῶν, μὴ παρεμποδίζονται ἀλλήλαις“; სლავიანურში—„и въ ней множайшая чувствъ водрузивый, не запинаящя другъ другу“. ნეტავი, ბ. კეთილის მოსურნე, აგვიხსნიდეს,—ძველი რედაქცია უფროა „დამეყნებულნი ბერძნულს ორიგინალზე“, თუ ახალი? სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს „ნიუ-თიერითა“ საითგან გამოქმენეს?

10) ძველებური—„შენდა დიდებსა ადვავლებთ თანდაუესაბამოთ მამით შენით, და ეოვლად წმიდით სახიერით, და ცხრაველს-მყოველთ სულით შენითურთ“ ჩვენ შევსცვალეთ „შენდა დიდებსა ადვავლებთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა“, რადგანაც ბერძნულშიც ასეა და ასეც უნდა იყოს: ღოცვა მიმართულაა ეოვლად წმიდა სამებისადმი და არა მეორე პირისადმი.

11) „მოსრული ესე აღსრულებად სულითა წმიდითა ადავსენ“—ის მაციერ, ჩვენ შემოვიღეთ—„სჯულისანნი სულითა წმიდითა ადავსენ“, თანხმად ბერძნულისა, სადაც სწერია: „καὶ τὸς ἐν νόμῳ πνεύματος Ἁγίου πληρώσας“; ბერძნული τὸς ἐν νόμῳ ძველში გამოიყვით და მის მაციერ საითგანდაც ჩაუხსინიათ „მოსრული ესე აღსრულებად“. ესეც „ბერძნულ ორიგინალზე“ დამეყრება კანა?

12) ძველებური „კეთილის-მოქმედსა“ ჩვენ შევსცვალეთ „შეენიერს ხუროს“, რადგანაც ბერძნული ἀρετῶν τεχνῶν ეოვლად შემთხვევაში „კეთილის-მოქმედს“ არ ნიშნავს; ἀρετῶν ნიშნავს „შეენიერს, წარჩინებულს“, და τεχνῶν—„ხუროს“. სიტყვა „ხუროს“ ნახმარა თვით საღმრთო წერილში, მაგ. სჟ. მც. XIX, 24, 38, ისაია XL, 19—20, XLIV, 12—13 და სხვ.

13) ბ. კეთილის-მოსურნე იმასაც აღნიშნავს, რომ კომიტეტს „აღსარებიდან გამოუკლავს რვა ფურცელიო“; მართლაც, მაგრამ რატომ ისიც არ აღნიშნეთ, თუ რა არის გამოტოვებული? გამოშვებულია ის, რაც არც ბერძნულ, არც სლავიანურ კურთხევასში არ მოიხვევება და რასაც ესაა პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს, სახელდობრ—მსოფლიო კრებათა და წმიდა მამათა შესვლულება და დარიგება აღსარება-სინანულისათვის. ეს სჯულისკანონის საგანს შეადგენს და არა კურთხევისას. გამოშვებულია კითხვა-მიკება, სადაც ჩამოთვლილია ისეთი ცოდვები, რომელთა წარმოთქმაც სირცხვილის აღმურს მოსდებს აღამიანის სახესა. მოძღვარი დიდ დანაშაულს ჩაიდენს, თუ ამ ცოდვებს ჩამოუთვლის მთხანულს, რადგანაც, შესაძლავა, ისეთ ცოდვას გააძნოს, რასაც მონანული თავის თავად ვერც კი მოიფიქრებდა. ამითი ახისსება, რომ ამ კითხვა-მიკებას ჩვენს ძველ ხელთნაწერებში ადგილი არ აქვს. ჩვენ დავსტოვეთ მართლ პირველი „კითხვა“, სადაც ჩამოთვლილია „შვიდი სასიკვდინე ცოდვა“, ისიც შეცვლილის რედაქციით, რადგანაც კვიპრიანე სამთავრელის დროს ქართველები იმდენად გონიერები ეოფილან, რომ „უკუნურება“ მათ „სასიკვდინე“ ცოდვად ქტონათ მიჩნეული. ჩვენ კი, მათი დაწინებული შთამომავლობა, „უკუნურებას“ უფრო აღმოიბიერად უნდა მოვუპყრათ, თორემ „სასიკვდინე“ ცოდვილთა რიცხვში თვით კეთილის-მოსურნე კრიტიკოსებიც კი მოქვეყნიან...

ამით ვითავებთ იძულებულ პასუხს; ჩვენ არ ვამტკიცებთ, უცოდველი პაპები ვიყვნით, ნაკლულთვანება, რასაკვირველია, ჩვენ ნამოროსაც ექმნება, როგორც აღამიანის ნამოქმედარს, მაგრამ შეგნებელი და მოუკერძებელი მკითხველისთვის მიგვიხდვია განსჯა, თუ რამდენად საფუძვლიანია კეთილ-მოსურნის და მის თანამოაზრეთა ესდანიდელი გამოლანჭვება ჩვენს წინააღმდეგ. ესეთი გამოლანჭვება შე-

დევია იმ არა სასურველ წინისა, რომელიც საზოგადოდ სჭირს უოველსავე ქართველს: „რასაც მე არ ვაკეთებ, სადაც მე არ ურევია, უოველივე ის დასაგმობი და გასაკიცხია; განა შეიძლება, რომ უწემოთ რაზე გაკეთდეს?“ — აი როგორ ფიქრობს ბევრისაგან ბევრი ქართველი...

დასასრულ, ორიოდე სიტყვა ბ. კეთილის-მოსურნის: აკურ საში წყლიწაღია, რაც მისაკავში შეუდგენს ჩვენს კურთხევის ბეჭდვას და ჯერ საში ფორმაც არ დაბეჭდილა; უეჭველია, საქმეს მოსკოვში აკვიანებენ ზოგოერთი არა-შეიძლება ცენზორები ჩვენ მიერ წაღმა-დასმულ ასრების გაუკუღმართებით... გთხოვთ, ცოტა მოთმინება იქნებოთ, წიგნს დაბეჭდვა დაცადოთ და მერე გაატაროთ კრიტიკის ბრძემში, თორემ, ხომ შეიძლება საკორექტურა უსწორ-მასწორობაც შეცდომად ჩაგვი-

თვალათ, როგორც ესაა ჩაგვითვალეს 3-ს გამართლება სიტყვა „შეშკეცოს“-ში.

ამასთანავე, საკადრისი არ არის, თქვენთვის არა სასურველი საქმის გასაბათილებლად ჭკრების გაგრძელება! თქვენი სიტყვით, „კომპიუტის თავმჯდომარედ ექსარხოსია“, ნამდვილად კი თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ექსარხოსი ამ საქმის მხოლოდ ჩების დამრთველია, თვით საეკლესიო წიგნების ახლად გამართულის ტექსტის სიმართლისათვის პასუხის მკებელები კი არიან და იქმნებიან, ამ საქმის გამო პირველად და უკანასკნელად თქვენთან მთკამათენი, —

თავმჯდომარე კომისიისა, არქიმანდრიტი  
პიროსი.

დოქ. კ. ცინცაძე.  
წევრნი: დ. კ. კვიციანიძე.  
იუსტ. აბულაძე.